

შპს „ნატალი“

ს/კ 431168005

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერის

დასრულებული წლისთვის

სარჩევი ფინანსური ანგარიშგება

1. მოგებისა და ზარალის ანგარიშგება	3
2. კაპიტალში ცვლილებების (გაუნაწილებელი მოგების) ანგარიშგება.....	4
3. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	5
4. ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება.....	5

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია.....	6
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა	7
2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე	7
2.2 მომზადების საფუძველი	7
2.3 ფასს-ის პირველად გამოყენება	7
2.4 საოპერციო და ანგარიშგების ვალუტა	8
2.5 გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	8
3. ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მუხლების განმარტებები	11

შპს „ნატალი“
საოპერაციო მოგებისა და ზარალის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)

შენიშვნები	2018	2019
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში	481469	655838
საქონლის მიწოდებიდან და მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავალი	7578101	7963123
არასაოპერაციო შემოსავლები	65253	37364
სხვა შემოსავლები	0	17581
<i>სულ შემოსავლების ჯამი</i>	<i>7643354</i>	<i>8018068</i>
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	6148044	6502611
ცვეთა და ამორტიზაცია	34983	52246
შრომის ანაზღაურება	711498	813568
საიჯარო ქირა	105140	110942
კომუნიკაციის ხარჯები	6749	14937
კომუნალური გადასახადები	65081	62532
სამეურნეო ხარჯები	50605	43953
საკასო აპარატის ხარჯები	2011	2146
დაცვის მომსახურება	4068	4676
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	16185	12509

აუდიტორული მომსახურება	18000	0
სხვა საოპერაციო ხარჯები	68354	3787
ბანკის საკომისიო	11837	12216
სხვა საგადასხადო ხარჯი	0	0
საპროცენტო ხარჯები	13002	31951
დანაკლისის შედეგად მიღებული ფინ.ზარალი	0	27671
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	5034	6223
განასკუთრებული ხარჯები	500	3000
<i>სულ საოპერაციო და არასაოპერაციო ხარჯები</i>	<i>7261092</i>	<i>7766046</i>
საოპერაციო და არასაოპერაციო ოპერაციებიდან პერიოდის ბოლოს მიღებული მოგება	382264	334036
დარიცხული და გაცემული დივიდენდი	207895	355789
დარიცხული და გაუცემული დივიდენდი	0	291080
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს	655838	283947

შპს „ნატალი“
 კაპიტალში ცვლილებების (გაუნაწილებელი მოგების) ანგარიშგება
 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის (ლარში)

შენიშვნები	2018	2019
გაუნაწილებელი მოგება წლის დასაწყისში	481469	655838
საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალი (საოპერაციო მოგება/ზარალი)	382264	299671
საანგარიშო პერიოდის მოგება/ზარალი (არასაოპერაციო მოგება/ზარალი)	0	37364
დარიცხული დივიდენდები	207895	355789
ესტონური მოდელი (დარიცხული მოგების გადასახადი)	0	58793
დარიცხული და გადაუხდელი დივიდენდები	0	291081
სხვა ჯარიმები (ადმინისტრაციული)	0	3264
გაუნაწილებელი მოგება წლის ბოლოს	655838	283947

შპს „ნატალი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარში)
შენიშვნები 31/12/2018 31/12/2019

გრძელვადიანი აქტივები

ძირითადი საშუალებები 132307 247931

არამატერიალური აქტივები 45700 38845

მთლიანი გრძელვადიანი აქტივები 178007 286776

მთლიანი მოკლევადიანი აქტივები

მარაგები 826681 1213878

მოკლევადიანი მოთხოვნები 328885 322742

გაცემული ავანსები 103509 1016

ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები 387780 145530

მთლიანი მიმდინარე აქტივები 1646855 1683166

მთლიანი აქტივები 1824862 1969942

კაპიტალი & ვალდებულებები

საწესდებო კაპიტალი 281102 281102

გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი) 655838 283947

მთლიანი კაპიტალი 936940 565049

მიმდინარე გადასახადები 2578 10140

გადასახდელი პროცენტი 0 0

გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი 286958 303054

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელო 0 0

მოკლევადიანი ვალდებულებები 598386 799165

სხვა ვალდებულებები 0 292534

მთლიანი მიმდინარე ვალდებულებები 887922 1404893

მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები 1824862 1969942

შპს „შპს ნატალი“
ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის (ლარში)

შენიშვნები	2018	2019
საწყისი ბალანსი ფული და ფულთან გათანაბრებული ექვივალენტი	48634	387780
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა		
ნაღდი ანგარიშსწორებით მყიდველებისგან მიღებული თანხები (ასვე სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები)	7378213	7574194
უნაღდო ანგარიშსწორებით მყიდველებისგან მიღებული თანხები	808818	960524
ვალდებულებების დაფარვა		
- შეძენილი საქონლის ღირებულება	6437146	7058141
- საკომუნიკაციო ხარჯები	7710	8547
- კომუნალური ხარჯები	77008	69897
- საკანცელარიო ხარჯები	12220	14755
- საკასო აპარატის ხარჯები	1372	2501
- დაცვის სამსახურის მომსახურება	5200	4793
- გადახდილი ხელფასები	569198	644318
- საპენსიო ფონდში გადარიცხული თანხები	-----	30549
- გადახდილი იჯარა	93600	99553
- აუდიტორული მომსახურება	2700	0
- ტრანსპორტის შენახვის ხარჯები	18496	15900
- პროგრამული უზრუნველყოფა	37533	8458
- სამერნეო ხარჯები	37907	31836
- კომპიუტერის ხარჯები	-----	6931
- გაუთვალისწინებელი და სხვა საერთო ხარჯები	184542	0
- გადახდილი გადასახდები		
ა) საშემოსავლო (ხელფასი, იჯარა, დივიდენდი)	148393	179213
ბ) მოგების გადასახდი	0	48413
გ) გადასახდელი დღგ	80500	104973
დ) ქონების გადასახადი	615	0
ე) სხვა გადასახდები	0	3400
საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა		
- ძირითადი საშუალებების და სხვა აქტივების შეძენა	133200	55173
საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა		
- მიღებული სესხები	266220	314617
- გადახდილი სესხები	45403	329564
- გადახდილი სესხის პროცენტი	13002	31983
- გადახდილი დივიდენდები	197500	338000
- ბანკის საკომისიო	7177	4687
სხვაობა ფული და ფულთან გათანაბრებული ექვივალენტები	339146	- 242250
საბოლოო ბალანსი ფული და ფულთან გათანაბრებული ექვივალენტი	387780	145530

შპს „ნატალი“
სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2019 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს „ნატალი“ რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ 2012 წლის 15 ივნისს. საიდენტიფიკაციო ნომერი- 431168005, იურიდიული მისამართი - საქართველო,თელავი,სეხნიაშვილის ქუჩა N10, საქართველო,თელავი,სეხნიაშვილის ქუჩა N10. დღგ-ს გადამხდელად დარეგისტრირდა 2013 წლის მარტის თვეში.

კომპანიის 100% დამფუძნებელი და დირექტორია: ვაჟა ქელეხსაშვილი პ/ნ 20001000082.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

1. საცალო ვაჭრობა ფარმაცევტული და სამედიცინო საქონლით, საცალო ვაჭრობა ფარმაცევტული საქონლით სპეციალიზებულ მაღაზიებში (აფთიაქებში)
2. საბითუმო ვაჭრობა მედიკამენტებით, ბავშვთა კვების პროდუქტებით და ჰიგინის საშუალებებით
3. საცალო ვაჭრობა არასპეციალიზირებულ მაღაზიებში (მარკეტში) ძირითადად სურსათით, სასმელებით, თამბაქოთი და საჩუქრებით.

შპს „ნატალი-ს“ 2017 წლის 24 ოქტომბრამდე გააჩნდა აფთიაქი და 2 მარკეტი ქ.თელავში. 2017 წლის 24 ოქტომბერს კომპანიის წილობრივ ინსტრუმენტებში მოხდა ცვლილება, საკუთარი სასაქონლო მარაგებით, ძირითადი საშუალებებით და არამტერიალური აქტივებით შპს- წილებში შემოვიდნენ შპს ნინი ს/კ 431166221 და შპს ნატალი პლუსი ს/კ 231276348 შედეგად კომპანიის წილებში მდგომარეობა ასეთია:

1. ვაჟა ქელეხსაშვილი 55 %
2. შპს ნატალი პლუსი 30%
3. შპს ნინი 15%

ამჟამად კომპანიას გააჩნია 5 აფთიაქი, 2 მარკეტი და საბითუმო ქსელი, ასევე ქაღალდის პაკეტების საწარმო.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის

საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

2.2 მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღურებულების პრინციპზე დაყრდნობით. მომზადებულია დარიცხვის მეთოდით, გარდა ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ინფორმაციისა. კომპანიას გააჩნია საქმიანობის გაგრძელების უნარი, როგორც ფუნქციონირებად საწარმოს. ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს ერთი კომპანიის ფინანსური ანგარიშგებას. საანგარიშგებო პერიოდის დამთავრების თარიღია: 31.12.2019 და ის მოიცავს 2019 წელს.

დაცულია ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პრინციპები და ფინანსური ანგარიშგების ხარისხობრივი მახასიათებლები. ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის გამოყენებით მიღწეულია ფინანსური მდგომარეობის საქმიანობის ფინანსური შედეგების და ფულადი სახსრების მოძრაობის სამართლიანი წარდგენა.

2.3 ფასს-ის პირველად გამოყენება

შპს „ნატალი“-ს ფინანსურ ანგარიშგების წარდგენა და ფასს-ის გამოყენება ხდება პირველად. ფასს-ის სტანდარტზე გადასვალის თარიღად ითვლება 2017 წლის პირველი იანვარი ხოლო შესადარისი ინფორმაცია წარმოადგენს შესადარისი პერიოდის 2017 წლის ინფორმაციას.

2.4 საოპერციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია.

2.5 გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შიშობილვა

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის საფუძველია მსს-ის ძირითადი დაშვებები - დარიცხვის მეთოდი და ფუნქციონირებადი საწარმო.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მოთხოვნები აღირიცხება ნომინალური ღირებულებით, ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ნეტო (მოსალოდნელი ანაზღაურების) თანხით. კომპანია ახორციელებს საცალო რეალიზაციას, ასევე ხდება უნაღდო ანგარიშსწორებაც, რომლის შესაბამისადაც გამოწერება სასაქონლო ზედნადები, შესაბამისად კომპანიის მიმართ მყიდველების მიმართ წარმოეშვება მოთხოვნები. კონსიგნაციის ვადა განსაზღვრულია ხელშეკრულებებით.

სავაჭრო ვალდებულებები

ვალდებულებები აღირიცხება იმ თანხით, რომლის გადახდაც კომპანიას მოუწევს. სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო

პირობით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საკურსო სხვაობები აისახება მოგება-ზარალში.

მარაგები

მარაგები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულების თანხით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს არსებობს თუ არა გაუფასურების ინდიკატორები და მისაღებია თუ არა მარაგისგან ეკონომიკური სარგებელი, საჭიროების შემთხვევაში ატარებს გაუფასურების ტესტს და შესაბამისად აღიარებს გაუფასურების ზარალს მოგებაში ან ზარალში. როდესაც მოხდება მარაგების გამოყენება მისი ღირებულება უნდა აღიარდეს შესაბამის პერიოდში ხარჯად. მარაგების გასვლა საწყობიდან ხდება MIDL მეთოდით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალება აღიარდება და შემოსავალში აიღება მისი თვითღირებულებით. თავდაპირველი აღირების შემდეგ ყველა ძირითადი საშუალება აღირიცხება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთის და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით. ძირითადი საშუალებები დაყოფილია 2 ჯგუფად: ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი. ციფრული და ელექტრო ტექნიკის მომსახურების ვადად განსაზღვრულია 2-12 წელი. საოფისე ავეჯი და დანარჩენი ძირითადი საშუალებების მომსახურების ვადად განსაზღვრულია 5, 7 ან 10 წელი. საწარმო ყოველი წლის ბოლოს აფასებს არსებობს თუ არა გაუფასურების ინდიკატორები და საჭიროების შემთხვევაში ატარებს გაუფასურების ტესტს და აღიარებს გაუფასურების ზარალს. გაუფასურების ან გაყიდვის შემთხვევაში ხდება შესაბამისი თანხების ასახვა მოგება ზარალში. აქტივების ცვეთადი ღირებულება ნაწილდება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. გამოიყენება ცვეთის წრფივი მეთოდი.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების შეფასება ხდება თვითღირებულებით, სარგებლიანობის ვადად განისაზღვრა 20 წელი. საწარმო ყოველი წლის ბოლოს აფასებს არსებობს თუ არა გაუფასურების ინდიკატორები და საჭიროების შემთხვევაში ატარებს გაუფასურების ტესტს და აღიარებს გაუფასურების ზარალს. აქტივს ამორტიზაცია ერიცხება ძირითადი საშუალების ანალოგიურად. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში მიღებული შემოსულობა ან ზარალი უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში.

საგადასახადო ვალდებულებები

საგადასახადო ვალდებულებები აღირიცხება იმ თანხით, რომლის გადახდაც კომპანიას მოუწევს. მოგების გადასახადის გადახდა ხდება დივიდენდის გაცემის შემთხვევაში და ასევე კოდექსით განსაზღვრულ მოგების გადასახადით დასაბეგრ ორეპაციებზე.

სესხის სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული ყველა დანახარჯები აღიარდება 'მოგებისა და ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგებაში' იმ პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა აღნიშნული დანახარჯი.

ხარჯები

ხარჯების აღიარდება იმ პერიოდში რომელშიც მოხდა მათი გაწევა ანუ დარიცხვის მეთოდით. ხარჯები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ეკონომიკური შინაარსის მიხედვით.

იჯარა

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადახდილი საიჯარო გადასახდელები აისახება ხარჯში იმ თვეში რომელსაც ეკუთვნის იჯარის გადასახდი.

3. ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი მუხლების განმარტებები

შენიშვნა 1

საოპერაციო შემოსავლები

საოპერაციო შემოსავლების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით მიწოდებული საქონლის და გაწეულ მომსახურების პროპორციულად.

შენიშვნა 2

არასაოპერაციო შემოსავალი

არასაოპერაციო შემოსავლები შედგება: უსასყიდლო მოწოდების, დებიტორ-კრედიტორების კორექტირების, და კრედიტ-ნოტისგან.

შენიშვნა 3

იჯარა

იჯარა წარმოადგენს ჩვეულებრივ ანუ საოპერაციო იჯარას.

შენიშვნა 4

დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელო

დაქირავებულებთან დადებულია შრომითი ხელშეკრულებები, რომლის შესაბამისადაც ხდება მათთვის ხელფასის ანაზღაურება არაუმეტეს მომდევნო თვის 5 რიცხვამდე.

შენიშვნა 5

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღიარებისას შეფასებულია თვითღირებულებით. გამოყენებულია ცვეთის წრფივი მეთოდი.

შენიშვნა 6

არამატერიალური აქტივი

არამატერიალური აქტივების შეფასება ხდება თვითღირებულებით.

ამორტიზაცია ერიცხება წრფივი მეთოდით. ამორტიზაცია ჩართულია სრული შემოსავლების ანგარიშგებაში მუხლში „ცვეთა და ამორტიზაცია“

შენიშვნა 7

მარაგები

მარაგი შეფასებულია თვითღებულებით, ანუ მისი შემენის ფასით.

შენიშვნა 8

ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში

2017 წლის 24 ოქტომბერს საკუთარი სასაქონლო მარაგებით, ძირითადი საშუალებებით და არამატერიალური აქტივებით შპს-ს წილებში შემოვიდნენ შპს ნინი ს/კ 431166221 და შპს ნატალი პლუსი ს/კ 231276348 შედეგად კომპანიის წილებში მდგომარეობა ასეთია:

- 1. ვაჟა ქელესაშვილი 55 %
- 2. შპს ნატალი პლუსი 30%
- 3. შპს ნინი 15%

შენიშვნა 9

მოკლევადიანი მოთხოვნები

მოკლევადიანი მოთხოვნები წარმოიშვება მყიდველებთან განხორციელებული სამეურნეო ოპერაციებისგან.

შენიშვნა 10

გაცემული ავანსები

სალარო-აპარატების მომსახურების ხარჯები.

შენიშვნა 11

ფული და ფულის ექვივალენტი

სალაროში და ბანკში არსებული ფულადი ნაკადები.

შენიშვნა 12

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია წესდებით და შეადგენს 0 ლარს.

შენიშვნა 13

მიმდინარე გადასახადები

კანონმდებლებით გათვალისწინებული საბიუჯეტო გადასახადები.

შენიშვნა 14

გადასახდელი პროცენტი

გადასახდელი პროცენტი განსაზღვრულია სს „თი ბი სი ბანკთან“ დადებული ხელშეკრულების შესაბამისად, რომლის ხარჯად აღიარება ხდება გადახდისთანავე.

შენიშვნა 15

სესხი

გადასახდელი სესხი განსაზღვრულია სს „თი ბი სი“ ბანკთან დადებული ხელშეკრულების შესაბამისად, რომლის გადახდაც ხდება გრაფიკის შესაბამისად, სესხი დაფარულია სრულად 2017 წელს.

შენიშვნა 16

მოკლევადიანი ვალდებულებები

მოკლევადიანი ვალდებულებები წარმოიშვება მომწოდებლებთან განხორციელებული სამეურნეო ოპერაციებისგან.

შენიშვნა 17

სხვა ხარჯები

სხვა ხარჯები შედგება საერთო, ადმინისტრაციული და კომუნალური ხარჯებისგან.

შენიშვნა 18

საკონსულტაციო ხარჯები

საკონსულტაციო ხარჯები შედგება აუდიტორული მომსახურებისგან.

შენიშვნა 19

გაუთვალისწინებელი ხარჯები


გაუთვალისწინებელი ხარჯები შედგება ჯანდაცვის სამინისტროს მიერ მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი სამართალდარღვევებისგან.

სხვა შენიშვნები.

1. რადგან შპს „ნატალი“-ს მოგების გადასადხადის აღრიცხვა ევალება ესტონური მოდელის შესაბამისად, 2017 და 2018 წლებში არ გამოვლენილა მოგების გადასახადით დასაბეგრი ოპერაციები. კომპანიას არ მიუღია გადაწყვეტილება დივიდენდების გაცემასთან დაკავშირებით, რაც შეეხება 2019 წელს კომპანიამ გადაწვიტა განეწილებინა მოგება შესაბამისად მოხდა მისი დარიცხვა წილობრივად და ნაწილის გაცემა, ხოლო დანარჩენი დივიდენდის გაცემა მოხდება მომავალ პერიოდში.
 2. არ გააჩნია არანაირი ანარიცხი, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები.
 3. არ გამოქვეყნდა საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები.
 4. კომპანიის მსს ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღია 2017 წლის 1 იანვარი. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს ფასს) შესაბამისად. ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად მსს ფასს სტანდარტებზე გადასვლამდე კომპანიას არ მოეთხოვებოდა ფინანსური ანგარიშგების მომზადება და წარსულში არ მოუმზადებია ფინანსური ანგარიშგება. მსს ფასს სტანდარტებზე გადასვლამდე კომპანია აღრიცხვას აწარმოებდა ისეთი პოლიტიკის გამოყენებით, რომელიც საგადასახადო კანონმდებლობას ემყარებოდა. მსს ფასს-ზე გადასვლას კომპანიის მთლიან კაპიტალზე გავლენა არ მოუხდენია, შესაბამისად, წარმოდგენილი არ არის მსს ფასს-ზე გადასვლის ეფექტის შეჯერება.
- 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2020 წლის 31 აგვისტოს. შემდეგი პირების მიერ:

შპს ნატალი-ს დირექტორი:

შპს ნატალი-ს მთ.ბუღალტერი:

3 

/გაბაძე ქსენიაშვილი/
/გოგი ოდიშელიძე/

